ეთიკის კომისიის

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

## დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენების თაობაზე

**მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**

ქეთევან უტიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი

**საჩივრის ავტორები** – ქ. ხ., ი. კ.

**წარმომადგენელი:** მ. ნ. /სიითი N..../

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 15.09.2017

**საჩივრის რეგისტრაციის ნომერი:** 074/17

**საჩივარი შემოტანილია:** ადვოკატ გ. გ.-ს მიმართ /სიითი N..../

**საჩივრის მოთხოვნა:** ადვოკატ გ. გ.-სთვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

### I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორთა პოზიცია:**

1.1 2017 წლის 15 სექტემბერს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ქ. ხ.-მა და მოითხოვა ადვოკატ გ. გ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. 2018 წლის 16 თებერვალს საჩივრის ავტორმა წარმომადგენელთან ერთად საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ზეპირი ფორმით წარმოადგინა ახსნა-განმარტება საჩივარზე.

განხილვის კოლეგიის 2018 წლის 30 ივლისის სხდომაზე ქ. ხ.-მა და მისმა წარმომადგენელმა ადვოკატმა მ. ნ.-მ ზეპირი სახით წარმოადგინეს თავიანთი პოზიცია დისციპლინურ საქმესთან დაკავშირებით.

1.2 საჩივრის ავტორის ქ. ხ.-ის განცხადებით, მისი მეუღლე ი. კ. ამჟამად იმყოფება პატიმრობაში და მისი სისხლის სამართლის საქმეს იხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია. საჩივრის ავტორის მეუღლის ი. კ.-ის ინტერესების დაცვა დამატებით სხვა ადვოკატებთან ერთად 2017 წლის ივლისიდან იკისრა ადვოკატმა გ. გ.-მ, რომელიც მანამდე მხოლოდ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შედიოდა ი. კ.-სთან. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ქ. ხ.-მა განმარტა, რომ ადვოკატი გ. გ. მისი მეუღლის ი. კ.-ის იურიდიულ ფირმაში მუშაობდა და იცნობდა საჩივრის ავტორს. ადვოკატ გ. გ.-ს თავდაპირველად კლიენტთან სასჯელაღსრულების დაწესებულებაში შესვლა ევალებოდა, ხოლო შემდეგ თავად გამოთქვა სურვილი, რომ ი. კ.-ის ინტერესებს სასამართლოშიც დაიცავდა და ამ ვალდებულების განსახორციელებლად დაესწრო ორ სასამართლო პროცესს. საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის წერილობითი ხელშეკრულება არ გაფორმებულა და არც ადვოკატის გასამრჯელოზე შეთანხმებულან მხარეები.

1.3 ქ. ხ.-ის განმარტებით, ადვოკატმა გ. გ.-მ გამოიყენა მისი, როგორც ადვოკატის, მდგომარეობა და უთხრა, რომ ლეპტოპის შეძენა სურდა განვადებით, თუმცა ბანკი კრედიტს არ აძლევდა და არც განვადებას უფინანსებდა იმის გამო, რომ, როგორც თვითონ აღნიშნა, ბანკის შავ სიაში იყო. ადვოკატმა საჩივრის ავტორს სთხოვა, რომ განვადება ქ. ხ.-ის სახელზე გაფორმებულიყო და თანხას ადვოკატი თავად გადაიხდიდა. განვადება გაფორმდა ქ. ხ.-ის სახელზე 2 წლის ვადით. ადვოკატმა მფლობელობაში მიიღო პორტატული პერსონალური კომპიუტერი, რომელის ღირებულებამაც შეადგინა დაახლოებით 3200 (სამი ათას ორასი) ლარი.

1.4 კომპიუტერის შეძენისას საფასურის პირველი შენატანი ადვოკატმა თავად გადაიხადა, ხოლო მას შემდეგ აღარ გადაუხდია და საჩივრის ავტორი იძულებული იყო თანხა თვითონ გადაეხადა. 2017 წლის აგვისტოს თვეში საჩივრის ავტორმა ადვოკატ გ. გ.-ს მოსთხოვა შეეტანა განვადების თანხა, რაზედაც ადვოკატმა განაცხადა, რომ ქ. ხ.-მა მას კომპიუტერი აჩუქა. საჩივრის ავტორის მოთხოვნა ადვოკატის მიმართ, რომ მას შეესრულებინა ნაკისრი ვალდებულება, ადვოკატს არ მოეწონა და საჩივრის ავტორს დაუწყო შანტაჟი იმ მხრივ, რომ თუ საჩივრის ავტორი მოითხოვდა განვადების თანხის გადახდას ან კომპიუტერის დაბრუნებას, ასეთ შემთხვევაში ადვოკატი გაწყვეტდა მასთან ურთიერთობას და შეწყვეტდა მისი მეუღლის ი. კ.-ის დაცვას. საჩივრის ავტორმა ადვოკატს გამოართვა კომპიუტერი, რადგან უჭირდა განვადების თანხის გადახდა. ამის შემდეგ ადვოკატმა გ. გ.-მ, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე შეწყვიტა საჩივრის ავტორის მეუღლის ი. კ.-ის დაცვა და სასამართლოს წარუდგინა განცხადება, რომ მან შეწყვიტა ი. კ.-ის ინტერესების დაცვა მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რაც არ შეესაბამებოდა სინამდვილეს.

1.5 საჩივრის ავტორის ქ. ხ.-ის განცხადებით, ადვოკატი გ. გ. ვალდებული იყო მისი დაცვის ქვეშ მყოფს შეხვედროდა და შეეთანხმებინა მასთან, რომ არ სურდა მისი ინტერესების დაცვა. ქ. ხ. არ იყო მხარე ადვოკატის და კლიენტის ურთიერთობაში, მას არ მოუთხოვია და არც შეუთანხმებია ადვოკატთან რომ მას შეეწყვიტა ი. კ.-ის დაცვა. საჩივრის ავტორმა ადვოკატს განუმარტა, რომ კომპიუტერის საკითხს არ უნდა დაკავშირებოდა პირის დაცვის უფლება და სთხოვა, რომ პატივი ეცა პროფესიისთვის და შესულიყო ი. კ.-სთან, რათა პოზიციები მასთან შეეთანხმებინა. აღნიშნულზე ადვოკატმა უარი განაცხადა.

1.6 ადვოკატ გ. გ.-ს საქმიდან გასვლის შემდეგ ქ. ხ. იძულებული გახდა ადვოკატ გ. გ.-ს ფუნქციის შესასრულებლად ადვოკატ თ. მ.-ისთვის დამატებით გასამრჯელოს სახით 1000 (ათასი) ლარი გადაეცა.

1.7 ქ. ხ.-ის განმარტებით, ადვოკატი გ. გ. მოიქცა უღირსად, ჩაიდინა ადვოკატისთვის შეუფერებელი ქმედება, რაც ჩრდილს აყენებს არა მარტო მას, არამედ მთლიანად ადვოკატთა კორპუსს.

1.8 ი. კ.-მ, რომელიც ქ. ხ.-ის მეუღლეა და ადვოკატ გ. გ.-ს კლიენტი იყო, ეთიკის კომისიაში წერილობითი განმარტება წარმოადგინა 2018 წლის 06 მარტს. ი. კ.-ის განმარტებით, ადვოკატი გ. გ. იყო მისი მეგობარი და ასევე მასთან აკავშირებდა საქმიანი ურთიერთობაც. ი. კ.-ის კომპანიის ,,....”-ის დახმარებით ადვოკატ გ. გ.-ს არაერთხელ მიუღია მისთვის სასურველი პროფესიული საქმე და სათანადო ანაზღაურებაც. ზეპირი შეთანხმების საფუძველზე ადვოკატი გ. გ. სხვადასხვა დროს ასრულებდა იურიდიული კომპანია ,,....”-ის ადვოკატის ფუნქციებს. ი. კ. ადვოკატ გ. გ.-ს, როგორც მეგობარს, არაერთხელ დახმარებია ფინანსურადაც. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მას შემდეგ რაც 2017 წლის თებერვალში ი. კ. დააპატიმრეს სსკ-ის 180-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდებით, ადვოკატმა გ. გ.-მ საკუთარი სურვილით გადაწყვიტა დაეცვა ი. კ.-ის ინტერესები გამოძიებასა და სასამართლოში. ორდერის საფუძველზე ადვოკატმა მონაწილეობა მიიღო რიგ საგამოძიებო მოქმედებებში და ასევე თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე საქმის განხილვებში.

1.9 ი. კ.-ის განცხადებით, მისთვის მიუღებელია ის გარემოება, რომ 2017 წლის აგვისტოს თვეში ადვოკატმა გ. გ.-მ მასთან წინასწარი შეთანხმების და მისი გაფრთხილების გარეშე, სრულიად მოულოდნელად შეწყვიტა საკუთარი მოვალეობის შესრულება, ი. კ.-ისთვის იმ დროისთვის უცნობი მიზეზით. ადვოკატის მიერ მისი დაცვის შეწყვეტის თაობაზე ი. კ.-მ სასამართლო სხდომაზე შეიტყო.

1.10 ი. კ.-ს მიაჩნია, რომ ადვოკატმა გ. გ.-მ დააზარალა მისი, როგორც ბრალდებულის სამართლებრივ ინტერესები, რითაც ხელი შეუწყო ბრალდების მხარის ინტერესების რეალიზაციას. ი. კ.-მ მოითხოვა ადვოკატის ქმედების მიმართ ეთიკის კომისიის მხრიდან რეაგირება. ი. კ.-ის მიერ ადვოკატ გ. გ.-ს მიმართ წარმოდგენილი პრეტენზიიდან გამომდინარე და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ი. კ. იყო ადვოკატის კლიენტი, საპროცესო კოლეგიამ ი. კ. საქმეში ჩართო როგორც საჩივრის ავტორი.

**2. ადვოკატის პოზიცია:**

2.1 ადვოკატმა გ. გ.-მ 2018 წლის 12 აპრილს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება საჩივართან დაკავშირებით. ადვოკატის განცხადებით, მან ი. კ. გაიცნო გლდანის N. სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ორი-სამი წლის წინ. ერთი წლის შემდეგ ი. კ. განთავისუფლდა და მას შემდეგ იგი ადვოკატ გ. გ.-სთან მეგობრიბდა. ი. კ.-ს ჰქონდა იურიდიული ფირმა და სისხლის სამართლის საქმეებს ხშირად ამისამართებდა ადვოკატ გ. გ.-სთან.

2.2 ადვოკატის განცხადებით, ორი წლის წინ ი. კ.-მ მას გადასცა ი. დ.-ის საქმე. 2016 წლის ნოემბერში ადვოკატმა გ. გ.-მ ი. კ.-სთან შეწყვიტა ურთიერთობა. მას შემდეგ, რაც ი. კ. დააკავეს, ადვოკატს სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან დაუკავშირდა ი. დ. და უთხრა, რომ ი. კ.-ს მისთვის

გადასაცემი ჰქონდა 10 000 (ათი ათასი) ლარი და სთხოვა, რომ მოენახულებინა ი. კ. და მოეწოდებინა მისთვის, რომ ი. დ.-ისთვის გადაეცა კუთვნილი თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში ი. დ. მიმართავდა პროკურატურას. ადვოკატი დაუკავშირდა ქ. ხ.-ს და მასთან შეხვედრის შემდეგ შევიდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ი. კ.-სთან და გადასცა მას ი. დ.-ის მოთხოვნა. 2017 წლის თებერვალ-მარტში ქ. ხ. დაუკავშირდა ადვოკატს და სთხოვა, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებასთან ურთიერთობაში მას დაეცვა ი. კ.-ის ინტერესები, რასაც ადვოკატი დათანხმდა. ადვოკატი გ. გ. ასევე ი. კ.-ის საქმეზე ესწრებოდა სასამართლო პროცესებს თავდაპირველად როგორც მისი გულშემატკივარი, ხოლო 2017 წლის ზაფხულიდან რამდენიმე სასამართლო პროცესზე მონაწილეობა მიიღო ი. კ.-ის ადვოკატის სტატუსით.

2.3 ადვოკატს სჭირდებოდა ახალი კომპიუტერი, მის შესაძენად ერთიანი თანხა არ ჰქონდა და განვადებით კომპიუტერის შესაძენად მას უნდა მიემართა ვინმე ახლობელისთვის, რადგან თავად საკრედიტო ისტორიის გამო ბანკი არ დაუფინანსებდა განვადებას. ი. კ.-სთან ერთ-ერთი ვიზიტის შემდეგ, როდესაც ადვოკატი პენიტენციური დაწესებულებიდან ავტომობილით მოდიოდა ქ. ხ.-თან ერთად, მან ახსენა, რომ სურდა კომპიუტერის შეძენა თუმცა ბანკი არ უმტკიცებდა განვადებას. ქ. ხ.-მა შესთავაზა ადვოკატს, რომ მის სახელზე გაეკეთებინა განვადება, რაზეც ადვოკატი დათანხმდა და კომპიუტერის გამოტანის შემდეგ განვადების პირველადი შენატანი ადვოკატმა გადაიხადა. შემდეგ ადვოკატმა გადაწყვიტა, რომ ორი თვის თანხა ერთდროულად შეეტანა და როდესაც ქ. ხ.-ს დაუკავშირდა თანხის შესატანის თაობაზე, ქ. ხ.-მა უთხრა, რომ თავად მოაგვარებდა ამ საკითხს.

2.4 2017 წლის ივლისის თვეში ერთ-ერთ ოჯახში სტუმრად ყოფნისას ქ. ხ.-მა ადვოკატს უთხრა, რომ ოჯახში გადაწყვიტეს, რომ განვადებით გამოტანილი კომპიუტერი ეჩუქებინათ ადვოკატისთვის და მას განვადების თანხის შეტანა აღარ მოუწევდა.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მან ქ. ხ.-ს მომსახურება გაუწია ი. კ.-ის კიდევ ორ საქმეზე და მათგან ერთ-ერთი ეხებოდა ბინის გაყიდვის საკითხს. აღნიშნული საქმიდან დარჩენილი ფულის ნაწილი ქ. ხ.-მა კაზინოში წააგო. ამის შემდეგ 2017 წლის აგვისტოს თვეში ქ. ხ. დაუკავშირდა ადვოკატს და უთხრა, რომ კომპიუტერის თანხა იყო ადვოკატის საადვოკატო მომსახურების საფასური, იგი ვერ გადაიხდიდა ამ თანხას და ერჩივნა, რომ ი. კ. დარჩენილიყო ადვოკატის მომსახურების გარეშე. ადვოკატს სურდა, რომ კომპიუტერის თანხა თვითონ გადაეხადა და ურთიერთობის მოსაწესრიგებლად ქ. ხ.-ს შეხვედრაზე შეუთანხმდა. შეხვედრამდე ქ. ხ. ისევ დაუკავშირდა ადვოკატს და უთხრა, რომ ის ან გაყიდიდა კომპიუტერს ან ლომბარდში ჩააბარებდა და სასწრაფოდ მოითხოვა მისგან კომპიუტერის დაბრუნება. ადვოკატმა შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, საჩივრის ავტორს დაუბრუნა კომპიუტერი და უთხრა, რომ წყვეტდა მასთან ურთიერთობას. ამის შემდეგ 2017 წლის 27 აგვისტოს ქ. ხ. დაუკავშირდა ადვოკატს და უთხრა, რომ სასამართლოში მოსამართლის სახელზე დაეწერა განცხადება და აღენიშნა, რომ წყვეტდა კლიენტის მომსახურებას სასამართლოში. 2017 წლის 29 აგვისტოს ადვოკატმა სასამართლოში დაწერა განცხადება ი. კ.-ის საქმიდან აცილების თაობაზე.

2.6 ადვოკატის განმარტებით, იგი აღარ შეხვედრია ი. კ.-ს და პირადად მისთვის არ მიუწოდებია მომსახურების შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია, იქიდან გამომდინარე, რომ ი. კ.-ის საქმესთან დაკავშირებით ადვოკატს კომუნიკაცია სულ ქ. ხ.-თან ჰქონდა და სწორედ იგი იღებდა

გადაწყვეტილებებს, ამიტომ ადვოკატმა მიიჩნია, რომ კლიენტის მომსახურების შეწყვეტის შესახებ ქ. ხ.-ისთვის შეტყობინების შემდეგ თავად ქ. ხ. მიაწვდიდა ი. კ.-ს ინფორმაციას.

**3 დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის პოზიცია:**

3.1 2018 წლის 12 აპრილს მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ გ. გ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა გ. გ.-მ თავისი კლიენტის ი. კ.-ის დაცვის განხორციელება შეწყვიტა უშუალოდ კლიენტის ინფორმირების გარეშე, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო ,,ადვოკატთა შესახებ" კანონის მე-6 მუხლის მეორე ნაწილი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მეექვსე ნაწილი.

3.3 საპროცესო კოლეგიამ პორტატულ კომპიუტერთან დაკავშირებით, მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ კომპიუტერის ფასი არ არის იმ მოცულობის თანხა, რომელთან დაკავშირებითაც დასაბუთებული ვარაუდი შეიძლება წარმოიშვას, რომ ადვოკატის დამოუკიდებლობა რისკის ქვეშ დადგება. ასევე ფინანსური ურთიერთობის დასასრულებლად ადვოკატმა ქ. ხ.-ს მოთხოვნისთანავე დაუბრუნა კომპიუტერი, ხოლო შემდეგ შეწყვიტა კლიენტის მომსახურება. აქედან გამომდინარე, საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ქ. ხ.-სა და ადვოკატ გ. გ.-ს შორის პორტატულ პერსონალურ კომპიუტერთან დაკავშირებით დადებული გარიგება არ არის ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების საწინააღმდეგო გარიგება და მას ადვოკატის დამოუკიდებლობა რისკის ქვეშ არ დაუყენებია.

## II სამოტივაციო ნაწილი

**4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები**

ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორთა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 ადვოკატი გ. გ. შეუთანხმდა ქ. ხ.-ს, რომ დაიცავდა მისი მეუღლის ი. კ.-ის ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეში. შეთანხმების თანახმად ადვოკატს დაევალა პენიტენციურ დაწესებულებაში საქმესთან დაკავშირებით კლიენტთან კომუნიკაცია.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

საპროცესო კოლეგიის 2018 წლის 16 თებერვლის სხდომის ოქმი

საპროცესო კოლეგიის 2018 წლის 12 აპრილის სხდომის ოქმი

განხილვის კოლეგიის 2018 წლის 30 ივლისის სხდომის ოქმი

4.2 2017 წლის 29 აგვისტოს ადვოკატმა გ. გ.-მ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო, წინასასამართლო სხდომისა და არსებითი განხილვის კოლეგიის მოსამართლეს, რომ ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე შეწყვიტა ბრალდებულ ი. კ.-სთან იურიდიულ მომსახურება, როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, ისე პენიტენციური დეპარტამენტის დაწესებულებაში და მოცემული ბრალდების საქმეში მონაწილეობას აღარ მიიღებდა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

2017 წლის 29 აგვისტოს N1943 განცხადება

საპროცესო კოლეგიის 2018 წლის 16 თებერვლის სხდომის ოქმი

საპროცესო კოლეგიის 2018 წლის 12 აპრილის სხდომის ოქმი

4.3 ი. კ.-ის მომსახურების შეწყვეტის შესახებ ადვოკატმა გ. გ.-მ აცნობა ქ. ხ.-ს, ხოლო კლიენტს ი. კ.-ს ადვოკატის საქმიდან გასვლის შესახებ ინფორმაცია პირადად ადვოკატისგან არ მიუღია.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

2018 წლის 15 სექტემბრის საჩივარი

საპროცესო კოლეგიის 2018 წლის 16 თებერვლის სხდომის ოქმი

საპროცესო კოლეგიის 2018 წლის 12 აპრილის სხდომის ოქმი

განხილვის კოლეგიის 2018 წლის 30 ივლისის სხდომის ოქმი

4.4 ადვოკატ გ. გ.-ს მიერ ი. კ.-ის საადვოკატო მომსახურების განმავლობაში და მომსახურების შეწყვეტის დროისთვის ი. კ.-ის ინტერესებს იმავე სისხლის სამართლის საქმეზე იცავდნენ სხვა ადვოკატებიც.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

საპროცესო კოლეგიის 2018 წლის 16 თებერვლის სხდომის ოქმი

საპროცესო კოლეგიის 2018 წლის 12 აპრილის სხდომის ოქმი

განხილვის კოლეგიის 2018 წლის 30 ივლისის სხდომის ოქმი

## 5. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ გ. გ.-ს მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

## 6. სამართლებრივი შეფასება

6.1 ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა გ. გ.-მ დაარღვია შემდეგი მუხლები:

,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, ,,ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია..., რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან“.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: ,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობის შესახებ“

6.2 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ დაცვის განხორციელებისას ადვოკატის ვალდებულება - დაიცვას კლიენტის ინტერესები, წარმოიშვება მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, შეიძლება დაიდოს როგორც წერილობითი, ასევე ზეპირი ფორმით. ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარე შეიძლება იყოს როგორც თავად კლიენტი, ისე კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირი. სსსსკ-ის 41–ე მუხლის მიხედვით, ,,ადვოკატს ირჩევს და იყვანს ბრალდებული ან, ბრალდებულის ნების გათვალისწინებით, – მისი ახლო ნათესავი ან სხვა პირი. გამომძიებელს, პროკურორს, მოსამართლეს უფლება არა აქვთ, რეკომენდაცია გაუწიონ რომელიმე ადვოკატს. ბრალდებული (მისი ახლო ნათესავი, სხვა პირი) და ადვოკატი თავიანთ ურთიერთობებს აწესრიგებენ შეთანხმების საფუძველზე.“ მოცემულ შემთხვევაში, მხარეთა ახსნა-განმარტების შესაბამისად, ზეპირი ფორმით დადებული საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენდენ ადვოკატი გ. გ. და მისი კლიენტის ი. კ.-ის მეუღლე ქ. ხ..

6.3 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 09 ივლისის გადაწყვეტილებაში დისციპლინური საქმეზე #029/11 დაადგინა, რომ: ,,კლიენტს წარმოადგენს პირი, რომლის ინტერესების დაცვის ვალდებულებასაც საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით იღებს ადვოკატი. ადვოკატთან კლიენტთან ურთიერთობაში მყოფი უფლებამოსილი პირის მიერ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების დადებისას, აღნიშნული პირი წარმოადგენს ხელშემკვრელ მხარეს, რომელსაც ევალება საადვოკატო მომსახურების ანაზღაურების უზრუნველყოფა, მაგრამ ადვოკატს ვალდებულები უშუალოდ წარმოეშვება იმ პირის მიმართ, ვისი დაცვაც უნდა განახორციელოს ამ ხელშეკრულების თანახმად. შესაბამისად, ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობად ითვლება ადვოკატისა და იმ პირის ურთიერთობა, უშუალოდ ვისი სახელითაც მოქმედებს ადვოკატი, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარე.“

6.4 ეთიკის კომისიამ ამავე გადაწყვეტილებაში მიიჩნია, რომ ,,პროფესიული ეთიკური სტანდარტების შესაბამისად, ადვოკატს ვალდებულებები ეკისრება კლიენტის წინაშე და ყველა სახის ინფორმაცია, რომელიც მისი საქმის წარმოებასთან არის დაკავშირებული უშუალოდ მას უნდა შეუთანხმოს, განსაკუთრებით ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა კლიენტთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტა, მიუხედავად იმისა, რომ ამის თაობაზე ინფორმირებულია თავად საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარე.“

6.5 ეთიკის კომისიამ 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე №047/12 განმარტა, რომ ,,ადვოკატის მიერ კლიენტთან საადვოკატო საქმიანობის შესახებ ხელშეკრულების შეწყვეტა უნდა მოხდეს იმ პირობებსა და გარემოებებში, როდესაც ადვოკატმა აღნიშნულის თაობაზე ნათლად განუმარტა კლიენტს და შეწყვიტა მასთან ყველა სახის სამართლებრივი ურთიერთობა, მათ შორის კლიენტთან შეთანხმებით ან მისი მეშვეობით უნდა გაუქმდეს ყველა სამართლებრივი დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება ადვოკატის ვალდებულებები კლიენტის მიმართ''.

6.6 მოცემულ შემთხვევაში ქ. ხ. წარმოადგენს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარეს და კლიენტთან ურთიერთობაში მყოფ უფლებამოსილ პირს საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების ძალაში შესვლის დროისათვის. მხარეთა შეთანხმების თანახმად, ადვოკატი ახორციელებდა ი. კ.-ის ინტერესების დაცვას, რაც გამოიხატებოდა მასთან პენიტენციურ დაწესებულებაში კომუნიკაციასა და ინფორმაციის მიწოდებაში. შესაბამისად, კლიენტად მიიჩნევა ი. კ. და ადვოკატს ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონითა და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით კლიენტის მიმართ გათვალისწინებული ვალდებულებების დაცვა უშუალოდ კლიენტის წინაშე ეკისრება.

6.7 ადვოკატი მის მიერ ეთიკის კომისიაში 2018 წლის 12 აპრილს საპროცესო სხდომაზე ზეპირი სახით წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში აღნიშნავს, რომ კლიენტის მომსახურების შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია ხელშეკრულების მხარეს და კლიენტის მეუღლეს ქ. ხ.-ს მიაწოდა და მიიჩნია, რომ მის მიერ არ დარღვეულა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, რადგან კლიენტთან საადვოკატო მომსახურებასთან დაკავშირებულ საკითხებს სწორედ ქ. ხ.-თან კომუნიკაციის გზით აგვარებდა. გამომდინარე იქიდან, რომ ადვოკატმა გ. გ.-მ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარეს, ქ. ხ.-ს მიაწოდა, ადვოკატის მიერ დარღვეულია კლიენტის - ი. კ.-ის უშუალოდ ინფორმირების ვალდებულება, ვინაიდან ადვოკატს ევალებოდა შეხვედროდა კლიენტს და პირადად მისთვის განემარტა საადვოკატო მომსახურებაზე უარის თქმის მოტივი და კლიენტთან შეეთანხმებინა გადაწყვეტილება, ვინაიდან ადვოკატი უნდა მოქმედებდეს კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, რადგან ადვოკატის მიერ მიღებული გადაწყვეტილება უშუალოდ კლიენტის ინტერესებს ეხებოდა.

6.8 განხილვის კოლეგია იზიარებს საპროცესო კოლეგიის მსჯელობას, რომ ადვოკატი და კლიენტი შესაძლოა შეთანხმდნენ კომუნიკაციის გარკვეულ ფორმაზე, რაც უზრუნველყოფს კლიენტის ინფორმირებას. ასეთი ფორმა შეიძლება გულისხმობდეს ადვოკატის მიერ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების მხარის ინფორმირებას და ამ გზით აგრეთვე კლიენტის ინფორმირების უზრუნველყოფას. მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორმა და ადვოკატის კლიენტმა პრეტენზია გამოთქვეს ადვოკატის მიერ მომსახურების შეწყვეტის თაობაზე კლიენტისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობის შესახებ. საჩივრის ავტორს ადვოკატის მიერ კლიენტისთვის სხვა სახის ინფორმაციის მიუწოდებლობის ან ზოგადად კლიენტის საქმესთან დაკავშირებით კომუნიკაციის პრობლემის შესახებ არ აღუნიშნავს. კლიენტისთვის საადვოკატო

მომსახურების შეწყვეტის შესახებ ინფორმაცია თავისი არსით ისეთი მნიშვნელობის ინფორმაციაა, რომლის კლიენტთან მისვლაშიც და კლიენტის მიერ ამ ინფორმაციის სათანადოდ გაცნობაში უნდა დარწმუნდეს ადვოკატი. სხვა შემთხვევაში, თუ კლიენტი სასამართლოსგან შეიტყობს, რომ ადვოკატი მას აღარ იცავს, შეიძლება დაეკარგოს ნდობა არამარტო კონკრეტული ადვოკატის, არამედ ადვოკატის პროფესიის მიმართ.

6.9 განხილვის კოლეგია ითვალისწინებს იმასაც, რომ საადვოკატო მომსახურების შეწყვეტამდე ადვოკატის მიერ კლიენტის დასაცავად განხორციელებული იურიდიული მოქმედებების მიმართ არც ქ. ხ.-ს და არც უშუალოდ კლიენტს ი. კ.-ს პრეტენზია არ გამოუთქვამს. შესაძლოა ადვოკატ გ. გ.-ს ხელშეკრულების მხარის ქ. ხ.-ის ინფორმირების დროს ევარაუდა, რომ ხელშეკრულების მხარისთვის მიწოდებული ინფორმაცია მიუვიდოდა მისი დაცვის ქვეშ მყოფ პირს, თუმცა ადვოკატს უნდა მიეღო ზომები, რათა დარწმუნებულიყო კლიენტის მიერ ინფორმაციის მიღებაში და ინფორმაციის სათანადოდ მიუღებლობის შემთხვევაში შესაძლო ზიანის თავიდან აცილებისთვის, რაც ადვოკატ გ. გ.-ს არ განუხორციელებია.

6.10 განხილვის კოლეგიისთვის ადვოკატის დისციპლინირების სკითხის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია ადვოკატის ქმედებით/უმოქმედობით გამოწვეული ზიანის ფაქტორი. განხილვის კოლეგიისთვის მხარეთა-ახსნა განმარტებიდან გამომდინარე, ცნობილია, რომ ადვოკატ გ. გ.-ს ევალებოდა პენიტენციურ დაწესებულებაში ი. კ.-ისთვის მისი სისხლის სამართის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება. ადვოკატ გ. გ.-ს გარდა ი. კ.-ის ინტერესებს იმავე სისხლის სამართლი საქმეზე იცავდნენ ადვოკატი მ. ნ. და ადვოკატი თ. მ.. შესაბამისად, როდესაც ადვოკტმა გ. გ.-მ შეწყვიტა ი. კ.-ის საადვოკატო მომსახურება, ი. კ. დაცვის უფლების გარეშე არ დარჩენილა. განხილვის კოლეგიის შეკითხვაზე თუ რა ზიანი მოუტანა საჩივრის ავტორებს ადვოკატ გ. გ.-ს მიერ კლიენტის შეუტყობინებლად საქმიდან გასვლამ, ქ. ხ.-მა განმარტა, რომ ადვოკატ გ. გ.-ს საადვოკატო ფუნქციის შესრულება ადვოკატ თ. მ.-ს მოუწია, რისთვისაც საჩივრის ავტორმა მას დამატებით 1000 (ათასი) ლარი გადაუხადა. საჩივრის ავტორს აღნიშნული გარემოების დასადასტურებლად რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია, ხოლო იმ შემთხვევაშიც კი თუ ეს გარემოება დადასტუდებოდა, აღსანიშნავია, რომ ადვოკატი გ. გ. უფასოდ ემსახურებოდა კლიენტს, ასევე იმ შემთხვევაშიც კი თუ ადვოკატი გ. გ. საქმიდან გასვლის შესახებ უშუალოდ კლიენტს მიაწვდიდა ინფორმაციას და ეთიკის ნორმების შესაბამისად იმოქმედებდა, მისი სხვა ადვოკატით ჩანაცვლების საკითხი მაინც დადგებოდა თუ სისხლის სამართლის საქმის წარმოების სტრატეგია არ შეიცვლებოდა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადვოკატ გ. გ.-ს მიერ ეთიკის ნორმების დარღვევის შედეგად კლიენტისთვის ან საადვოკატო ხელშეკრულების მხარისთვის კონკრეტული ზიანის მიყენების ფაქტი ვერ დადასტურდა.

6.11 დისციპლინური საქმის საპროცესო კოლეგიაში წარმოების ეტაპზე საჩივრის ავტორს ჰქონდა პრეტენზია, რომ ადვოკატმა გ. გ.-მ მას სთხოვა მისთვის კომპიუტერის განვადებით შეძენა იმ პირობით, რომ ადვოკატი გადაიხდიდა კომპიუტერის საფასურს, თუმცა ნივთის შეძენის შემდეგ ადვოკატმა აღარ გადაიხადა განვადების თანხა და საჩივრის ავტორს თავად მოუწია თანხის დაფარვა. საპროცესო კოლეგიამ პორტატულ კომპიუტერთან დაკავშირებით, მხედველობაში მიიღო ის ფაქტი,

რომ კომპიუტერის ფასი არ არის იმ მოცულობის თანხა, რომელთან დაკავშირებითაც დასაბუთებული ვარაუდი შეიძლება წარმოიშვას, რომ ადვოკატის დამოუკიდებლობა რისკის ქვეშ დადგება. ასევე ფინანსური ურთიერთობის დასასრულებლად ადვოკატმა ქ. ხ.-ს მოთხოვნისთანავე დაუბრუნა კომპიუტერი, ხოლო შემდეგ შეწყვიტა კლიენტის მომსახურება. აქედან გამომდინარე, საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ ქ. ხ.-სა და ადვოკატ გ. გ.-ს შორის პორტატულ პერსონალურ კომპიუტერთან დაკავშირებით დადებული გარიგება არ არის ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმების საწინააღმდეგო გარიგება და მას ადვოკატის დამოუკიდებლობა რისკის ქვეშ არ დაუყენებია. განხილვის კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა განაცხადა, რომ ეთანხმება საპროცესო კოლეგიის დასაბუთებას კომპიუტერის საკითხთან დაკავშირებით და მისი პრეტენზია ადვოკატის მიმართ უკავშირდება მხოლოდ კლიენტის ინფორმირების გარეშე საადვოკატო მომსახურების შეწყვეტას.

6.12 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 2(5) მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე, საუბარია ადვოკატის პროფესიისათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრაზე. თუმცა ეს არ გამორიცხავს კლიენტისათვის მიყენებული ზიანის გათვალისწინების შესაძლებლობასაც.

6.13 საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის თაობაზე მის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში (იხ. საქმე Nდს-შ/3-17, 22.05.2017) და განმარტა, რომ “სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, ოჯახური მდგომარეობის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია.”

6.14 მოცემულ შემთხვევაში, რადგან დადგინდა ადვოკატ გ. გ.-ს მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი, ეთიკის კომისიამ უნდა იმსჯელოს თუ რა სახის სახდელი ან ზემოქმედების ღონისძიება შეიძლება იქნეს გამოყენებული მის მიმართ.

6.15 ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის განხილვისას ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად.

6.16 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას.

6.17 მოცემულ შემთხვევაში, განხილვის კოლეგია ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომის ხასიათს, სიმძიმეს, ასევე ფაქტს იმის თაობაზე, რომ ადვოკატმა გ. გ.-მ ჩაიდინა დისციპლინური გადაცდომა, თუმცა ამ გადაცდომის შედეგად კლიენტის ან საადვოკატო ხელშეკრულების მხარის კონკრეტული ზიანის მიყენების ფაქტი ვერ დადასტურდა, რის გამოც ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ გ. გ.-ს მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიების ფორმა - კერძო სარეკომენდაციო ბარათი.

## III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტით, 34-ე მუხლის მეორე პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-19, მე-20 მუხლებით, 33-ე მუხლით, 35-ე მუხლით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ გ. გ.-ს მიმართ /სიითი N..../ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.
2. კერძო სარეკომენდაციო ბარათის შინაარსი კონფიდენციალურია და ეგზავნება მხოლოდ ადვოკატს.
3. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
4. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის სახით კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვის შესახებ არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ქეთევან უტიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/